დაიცი შემოსილი იყო პორფირით და ძოწველით, მორთული იყო ოქროთი, პატიოსანი ქვებით და მარგალიტებით, ხელთ პქონდა ოქროს სასმისი, თავის სიძვის სიბლწით და უწმინდურობით სავე (ცრუ სიტყვის თავისუფლება და ყალბი დემოკრატია გარეგნულად ბრწყინავს, ხოლო საქმითა და მოქმედებით ბინძურია). მას შუბლზე ეწერა საიდუმლო სახელი დიდი ბაბილონი (მსოფლიო დემოკრატიზაცია), მებაოვდა და დედამიწის სიბილწეთა დედა (ანუ ბოროტების დამბადებელი იდეოლოგია). დაიხსნა, რომ დამთვრალი იყო წმიდათა და იესოს მოწამეთა სისხლით და რომ გუყურებდი მივირდა დიდად.“ (გამოც. 17,1-60).

აი, ასეთია ღმერთთან მეტროლი ისრაელი, აშშ, ევროპა (დანიელის მეოთხე მხეცი), ჩინეთი (დანიელის მესამე მხეცი), რუსეთი (დანიელის მეორე მხეცი), ისლამური სახელმწიფოები (დანიელის პირველი მხეცი), რომლებმაც წმინდა ბიბლისი განმარტებით ანტიქრისტე ეწოდება. მარტვიად თუ ვიტყვი, დემოკრატია და კომუნიზმი არის ადამიანურ-ხორციელი მსოფლმხედველობა (კანონი და იუდა), რომელიც ებრძვის ქრისტიანულ-მარადიულ მსოფლმხედველობას (აბელ და ქრისტე). ამ ბრძოლაში იუდა (ისრაელი) ისობა, ხოლო ქრისტე და კაცობრიობა იმარჯვებენ.

აღნიშნულიდან გამომდინარე განვმარტავ, რომ დემოკრატია და კომუნიზმი არის ქრისტიანული მორალით შეფუთული ანტიქრისტე (კანონი და იუდა). სახარებაში ნახსენები არაა მონათმფლობელობის, ბატონყმობისა და ა.შ. სოციალური ჩაგვრის

მოსპობის შესახებ, ვინაიდან უსამართლობის გაგება და განცდა მაშინათვე ისობა, როგორც კი ადამიანი ეხიარება ღვთის სიტყვას. ბურჟუაზიულ-კაპიტალისტური ბატონყმობა (ფულის კულტი, მამონა) მანამდის იქნება და იბოვინებს დედამიწის ზურგზე, სანამდის არსებობს არასრულყოფილი რწმენა (დაბალი, უღვთო განათლების სისტემა). იესო ქრისტეს ღვთიური მისიაა, შეიდგეღვთიურად მოახროვნე კაცობრიობას, ყოველგვარი განათლების გარეშე მისცე მაღალი სულიერების დონე, რომელიც ავტომატურად შექმნის კანონის უხუნაესობის მქონე მსოფლიო პოლიტიკურ-ეკონომიკურ სისტემას.

ახლა ისევ დაგუბრუნდეთ ჩვენს მთავარ თემას, საქართველოსა და საქრისტიანოს დაუძინებელ მტერზე ისრაელის სახელმწიფოზე (იუდა-მასონებზე), პოლიტიკოსები და საინფორმაციო სამსახურები ავტომატურად ეწვეიან, თითქოსდა ქრისტეს მკვლელ მცირეაზიელთა ისრაელი ქართველი ხალხისა და საქრისტიანოს მეგობარი იყოს. ყველაფერი კი პირიქითაა, ვინაიდან მსოფლიო ცოდვის შემოქმედი და გამავრცელებელია ქრისტიანული მორალით შეფუთული ყალბი (მხეცი 666) დემოკრატია და ცრუ სიტყვის თავისუფლების გლობალიზაცია (მხეცი 666), რომელიც სისხლიან მახვილს ატრიალებს კაცობრიობის თავზე. მაშინ ვხვამ შეკითხვას: თუ დასავლეთის დემოკრატია კაცობრიობას იხსნის ყოველგვარი გაჭირვებისაგან, მაშინ ძველი აღთქმა, ახალი აღთქმა, მართლმადიდებლობა და წმიდა წერილი გვატყუებს? მოცემულ შეკითხვაზე პასუხი ერთმნიშვნელოვანია – თფუი ეშმაკს!

ღმერთი შემოქმედის პროგრამითა და გეგმით 2012-2015 წლებში გადაწყვეტილია ბიბლიური ოთხი მხეცის ერთმანეთთან დაჯახება (მესამე მსოფლიო ომი), რომელიც დამთავრდება, ქრისტეს მკვლელი, ჯვარის მოძულე, საქართველოს (დაზარეს) გამწვავლებელი და მართლმადიდებლობის დაუძინებელი მტრის, მცირეაზიელთა ისრაელის მიწასთან გასწორებით, ოთხივე მხეცის მორჯულებითა და ქრისტეს დედამიწაზე მეტრად მოსვლით.

იგი (იესო) მისცემს ხალხებს სამართლიანი აზროვნების სულს, რომელიც ავტომატურად ჩამოაყალიბებს სოციალურად გაწინასწორებულ (პური) და ზნეობრივად გამართულ (ღვინო) მსოფლიო პოლიტიკურ-ეკონომიკურ სისტემას. ამიტომ გვეუბნება ღვთაებრივი ესაია წინასწარმეტყველი: **„პა ჩემი მორჩილი, რომლისთვისაც ხელი მაქვს ჩაფლვული, ჩემი რჩეული რომელიც მოისურვა ჩემმა გულმა, მასზე გარდმოვალინე ჩემი სული, ის გაუჩენს სამართალს ხალხებს“ (ესაია 42,1).**

მეშრან ხუშულავა
(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ჩხორიის თემის სარეაბილიტაციო სამუშაოები

ჩხორიის თემში სოფლის მხარდაჭერის პროგრამით სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს. მოსახლეობის მიერ კრებულ დასახლებული პრიორიტეტები სოფლის მხარდაჭერის პროგრამით ხორციელდება.

ჩხორიის თემში მდინარე მახარიაზე მიმდინარეობს ხიდბოგორების მშენებლობა, სოფელ ზემო ჩხორიის ცენტრალურ გზაზე მოსაცდელის მშენებლობა, აგრეთვე ჩხორიის სამოყვარულო თეატრის ეზოს შემოღობვა.

დაგეგმილია თეატრის სახურავის შეცვლა.

დასრულდა სოფ. ტყაიაში მინი სპორტული სტადიონის მშენებლობა.

ჩხორია – ხედავურის თემში 14 ქუჩას სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩატარდა და შიდა გზები მოხსრეშა. სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებისა და ინფრასტრუქტურის მოწესრიგების შედეგად 1328 კომლს გაუუმჯობესდა საყოფაცხოვრებო პირობები.

მიმდინარე სამუშაოებზე ადგილობრივი მოსახლეობა დასაქმებული.

კალატუბურთის მუშარჩევი ტურნირი ზუბილიში

საქართველოს კალატუბურთის ეროვნული ფედერაციისა და სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტროს ორგანიზებით, საქართველოში პირველად ჩატარდა ტურნე 3X3 კალატუბურთში. ზუგდიდში ჩატარებულ შესარჩევ ტურნეში მონაწილეობა სამეგრელოს რეგიონის 13-მა გუნდმა მიიღო. ტურნეში კონკურსს გარეშე მონაწილეობდნენ თბილისისა და ქუთაისის ჯგუფები. 13 გუნდს შორის გამარჯვება ზუგდიდის გუნდმა მოიპოვა, რომელიც სამეგრელოს სახელით მონაწილეობას მიიღებს რესპუბლიკის პირველობაზე.

საუკეთესო გუნდები დიპლომებით, სივკლებითა და მედლებით დაჯილდოვდნენ. ტურნე 3X3 კალატუბურთის მიხანია ქუჩის კალატუბურთის პოპულარიზაცია და სპორტის ამ სახეობის განვითარება საქართველოში.

ახალი აღმოჩენები ხობი-ზუბილის საზღვართან

XX საუკუნის 80-იან წლებში ხობის რაიონის სოფელ დღვბაში შესწავლილ იქნა ძველკლხური სამაროვანი, სახელწოდებით „სუჯუნათი“, რის შემდგომაც თორსა-დღვბის ტერიტორია ქართველი და უცხოელი არქეოლოგების ინტერესის საგანი გახდა.



უკვე მეოთხე წელია სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიური ექსპედიცია და გერმანიის არქეოლოგიური ინსტიტუტის არქეოლოგები სოფელ თორსა-დღვბასა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე ატარებენ დახვეწითი ხასიათის სამუშაოებს. ასევე, სამაროვნიდან სამასობდ მეტრის დაშორებით, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიმდინარეობს არქეოლოგიური სამუშაოები ძველკლხურ

ნამოსახლარზე, რომელსაც „ტაბაკონის დიხაგუშუბა“ ჰქვია.

როგორც კვლევების შედეგად ირკვევა, თორსა-დღვბა და მისი მიმდებარე ტერიტორიები ძალიან მდიდარია არქეოლოგიური ძეგლებით.

ამ დღეებში არქეოლოგებმა „ტაბაკონის დიხაგუშუბაზე“ მიაკვლიეს ხის ნაგებობათა ნაშთებს, რომელიც წინასწარი კვლევებით 4000-4500 წლისაა. აღმოჩენამ ამ ძეგლის მიმართ კიდევ უფრო გაზარდა მეცნიერების ინტერესი. ავგისტო-სექტემბერში ადგილზე იმყოფებოდნენ სოხუმის უნივერსიტეტის რექტორი პროფესორი ჯონი ავაქიძე და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს არქეოლოგიური კომისიის თავმჯდომარე პროფესორი ვახტანგ ჯაფარიძე. მოპოვებული მასალები შესწავლილი იქნება გერმანიის არქეოლოგიური ინსტიტუტის ლაბორატორიაში.

არქეოლოგთა ჯგუფი დაბანაკებულია სოფელ თორსის ცენტრში, სამუშაოებში მონაწილეობას იღებენ დიპლომირებული მაცხოვრებლებიც. დახვეწითი ხასიათის კვლევებში აქტიურ საქმიანობას ეწევა ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის განათლების, სპორტის, ძველთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მთავარი სპეციალისტი

ჩვენს მიმართ პოლიტიკური რეპრესიები დღემდე ბრძოლა, ანუ როგორ გვაყრია თვალი ნაცარს

გახეთ „რეზონანსში“ ა.წ. 6 სექტემბერს დაბეჭდილი ხმაურაინი წერილიდან „სსრკ-ის დროს რეპრესირებულთა დახმარება ათ-მაგდება“, ირკვევა, რომ მთავრობამ დაამტკიცა „მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ კანონში ცვლილებების პაკეტი, რომელიც იუსტიციის მინისტრმა თვა წულუკიანმა წარადგინა. ცვლილებების არსი იმაში მდგომარეობს, რომ სახელმწიფო ვალდებულია იღებდეს პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთათვის გასცეს „ღირსეული ოდენობის ფულადი კომპენსაცია“, როგორც დე ფაქტო პარლამენტის წევრი თამარ კორძია „რეზონანსთან“ საუბრისას აღნიშნავს „ამ ცვლილებებით კომპენსაციები რეალურ თანხამდე იზრდება“.

სანამ მთავარ სათქმელზე გადავიდოდეთ, გვინდა აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ კანონში ცვლილებების შეტანის აუცილებლობა დღის წესრიგში მას შემდეგ დადგა, რაც რეპრესირებულმა კილაძემბმა, ადამიანის უფლებადამცველების თანადგომითა და დახმარებით სტრასბურგში ევროპულ სასამართლოში საქმე მოიტეს და შემდეგ საქართველოს ხელისუფლებას, ჯერ კიდევ სააკაშვილის რეჟიმის დროს, დაევა რეპრესირებულთა მიმართ საკუთარი ვალდებულებების ასრულება.

ე.წ. ცვლილებები კი იმაში მდგომარეობს, რომ „კომპენსაცია, მაშინ, როცა აღვიშვილის დროინდელი სასამართლო, დამცინად, რეპრესირებულებს 200 ლარს აძლევდა, სასამართლო გადაწყვეტილებით, შეიძლება ავიდეს 2 ათას ლარამდე“ – თავმოქმედდნ აცხადებს იუსტიციის მინისტრი.

როგორც ჩანს, უსამართლოდ ნატანჯნაწამები და მსხვერპლად შეწირული ადამიანებისათვის 2000-მდე ლარის გაძეგება შეიძლება „ღირსეული ოდენობის ფულად კომპენსაციად“ ჩათვალოს, იმ დროს, როდესაც დღევანდელი მთავრობის რეჟიმით წარმომაგდენელი 80 000 ლარამდე კორძიას იღებს,

მხოლოდ ორი თვის მანძილზე, კომფორტულ პირობებში გაწეული საშუალოს ნაწილად და 100 000-იანი მანქანებით, ისევე, როგორც წინა ხელისუფლების მაღალჩინოსნები, არამხოლოდ ივანიძე და სეიფიძის ოჯახის წევრებთან ერთად.

რაც შეეხება კიდევ ერთ მოწვევას, რომელიც იუსტიციის სამინისტრომ გაიღო რეპრესირებულებისადმი, მდგომარეობს იმაში, რომ მინიმუმ 90 წელს გადაცილებულ ნაწამებ, ჯანმრთელობა შერყეულ, დაუძღვრებულ ადამიანებს, რომლებიც უკვე კანონიერად აღიარებულნი არიან რეპრესირებულებად, „შესაძლებლობა ექნებათ თბილისის სასამართლოს გარდა ქუთაისის სასამართლოსაც მიმართონ“ და 1000 ან 2000 ლარის მიღების იმედით კიდევ ერთხელ ამტკიცონ მათი რეპრესირებულობა, კიდევ ერთხელ განიცადონ დაუმსახურებელი ტანჯვა, დამცირება და შეურაცხყოფა.

ახლა კი თვა წულუკიანის მიერ მთავრობის სხდომაზე წარდგენილი ცვლილებების პაკეტს 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის შეიარაღებულ სახელმწიფო გადატრიალების შედეგად დაზარალებული ადამიანების, ე.წ. ზვიადისტების თვალსაწიერადან შეეხვედით, რომელთა მიმართ, სამწუხაროდ, რეპრესირული მანქანის მოქმედება დღემდე გრძელდება, რაც ამ პროექტიდანაც ნათლად ვლინდება, რადგან მასში მათი დახმარებისადმი, ადამიანური დამოკიდებულება არ ასახულია.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ 1991-1992 წლების შეიარაღებული სამხედრო გადატრიალების შემდეგ, კანონიერად არსებული პრეზიდენტის ბატონ ზვიად გამსახურდიასა და კანონიერი ხელისუფლების მხარდამჭერნი, თავიანთი პოლიტიკური მრწამსის გამო, ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე, განიცდიდნენ დევნა-შევიწროებას. დღეისათვის ამ ადამიანების რიცხვი ათასობითაა (იხ. წიგნი „მე ვადადნაშაულე“, თბილისი, 2001 წ.). თუმცა, პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად იო-

ციალურ აღიარებას, ხელოვნურად შექმნილი ბარიერების გადალახვის, უდიდესი ნებისყოფის, მიზანდასახულობის, აუნახლადურებელი ენერჯისა და დროის დახარჯვის, მრავალი საჭიროზე მეტი დოკუმენტების სასამართლოზე წარდგენის შედეგად, მხოლოდ 20-მდე დაზარალებულმა მივაღწიო.

თუ კი ვივარაუდებთ, რომ თვით სააკაშვილის სასამართლოების მიერ 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებული პიროვნებების არსებობის შესახებ, მათდამი უსულგულო დამოკიდებულების გამო, დღევანდელი მთავრობის წარმომადგენლებმა არაფერი იცინ, ქველადერი კარგად მოესხნება თავად იუსტიციის მინისტრს თვა წულუკიანს, რომელიც 2009 წელს ადამიანის უფლებების ევროპულ სასამართლოში მუშაობდა და ამ სტრუქტურის ავტორის ოფიციალური წარმომადგენლის ქალბატონ ლია მუხაშვიას მიერ გაგზავნილ წერილს (რომელშიც საქართველოს სასამართლოების მიერ რეპრესირებულად აღიარებული, მაგრამ მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურებაზე ვთერ მგალობლიშვილის მიმართ სასამართლოების მიერ გამოტანილ უარყოფით გადაწყვეტილებას ასაჩივრებდა) გაეცნო და მისი მიღების ფაქტი წერილობითე დადასტურა. მეტი დამაჯერებლობისათვის მოგვაქვს ამონარიდი ამ წერილიდან: სტრასბურგი, 20 მარტი, 2009 წ. საქმე №15007/09, Mgaloblishvili and others v. Georgia, „ქალბატონო ლია, ვადასტურებ თქვენი 2009 წლის 18 მარტით დათარიღებული წერილის მიღებას სათანადოდ შევსებული საჩივრის ფორმიოთრთ, საიდანაც ჩანს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 34-ე მუხლის შესაბამისად ოფიციალური საჩივრის შემოტანა გსურთ. ამ საქმის მიუკუთვნა ზემოადნაშაულე, თბილისი, 2001 წ.), თუმცა, მიუთითო საჩივართან დაკავშირებულ ყო-

ელ მომდევნო კორესპონდენციაში... პატივისცემით სასამართლო განმწესრიგების სახელით თვა წულუკიანი, იურისტი რეფერენტი“.

ახე, რომ თვა წულუკიანმა, თუნდაც მის მიერვე სტრასბურგში დარეგისტრირებული საქმიდან, კარგად უწყის, რომ დღეს საქართველოში არსებობენ 1991-1992 წლებისა და შემდგომ პერიოდში სააკაშვილის რეჟიმის შედეგად რეპრესირებულნი, მაგრამ სრულად უგულვებელყოფილი მათი უფლებები და ინტერესები.

ყოველივე ამის შემდეგ ცალსახად შეიძლება დავასკვნათ, რომ სააკაშვილის სასამართლოების მხრიდან რეპრესირებულად აღიარება კომპენსაციის უფლების გარეშე, ხოლო დღევანდელი ხელისუფლების მიერ 1991-1992 წ.წ. დეკემბერ-იანვრის შეიარაღებული სახელმწიფო გადატრიალების შედეგად რეპრესირებულთა მიმართ გამოჩენილი გულგრილობა, უპატიოცემულობა, კიდევ უფრო აძლიერებს და ამძაფრებს ჩვენს დაუცველობის განცდას, ამავდროულად ნათლად ადასტურებს ჩვენს პერმანენტულ დევნა-შევიწროებას, დისკრიმინაციას, სამართლიანობის აღდგენისადმი ხელისუფლების შერწყმული დამოკიდებულებას.

ხოლო, როდესაც საქმე რეპრესირებულ ადამიანებს ეხება, ბიუჯეტის „გაფრთხილებაზე“ თვალთმაქცური საუბარი, როგორც ყოფილი, ასევე დღევანდელი ხელისუფლების წარმომადგენლებისაგან, რომელიც დიდი ნაწილი ბიუჯეტის თანხების დაუმსახურებლად მითვისებასა და უყიარათო ხარჯვაშია მხილებული, რბილად რომ ვთქვათ საზოგადოებისათვის თვალში ნაცრის შეყრა და მეტი არაფერი.

თითარ მბალობლიშვილი, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, პროფესორი, ადამიანის უფლებების დამცველი, პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლი

გვანჯი ღარასელიას ჟირილი ბატონ ნაკოლეონ მუსხიას

(დასაწყისი „ილორი“ № 284)

ეს სიტყვა არ მოეწონათ იქ მდგომ პოლიტიკანებს და მისაყვედურეს ვინ არიან ეს თქვენი აფხაზები ისეთებით? მე ვუთხარი ყველას გასაგონად, ნუთუ თქვენ ვერ იგებთ რომ ჩვენ საქმე აფხაზ ხალხთან კი არ გვექნება, არამედ სულ სხვა გარეშე დიდ ძალებთან-მეთქი. ის იყო მიუფჯახუნე კარები და იმედგაცრუებული დაგბრუნდი აფხაზეთში და მოუთმენლად ველოდი მესამე დღის გათენებას, 14 აგვისტოს. ზუსტად შეასრულეს დანაპირები, შემოგრიადდნენ ტანკებით თანხირეში, შემდეგ სოხუმში. ვიცოდი იქ რა მოხდებოდა და მეორე დღეს ხან ფეხით, ხან ველოსიპედით გავეშურე სოხუმისკენ, რადგან იქ მყავდა შვილი და შვილიშვილი. გზადაგზა რომ მივდიოდი ენახე ტამიშიში გადბრუნებული ტანკები ეყარა, ალბათ მიტომ, რომ უმეტეს ნაწილს ძველი ტრაქტორისტები მართავდნენ. რომ შევედი სოხუმში, კახელმა მეომარმა გაამჩერა და ველოსიპედი წამართვა და მითხრა, სანამ არ მომიტან ერთ ყუთ სიგარეტს, ველოსიპედს არ მოგცემი. მე გზა ფეხით გავაგრძელე და მაიაკამდე ჩავედი. იქ სოფლები იყო ამიტომ სარდაფებს ვაფარებდი თავს. ვხედავდი მისაბმელიან სატვირთო მანქანებს როგორ ტვირთავდნენ ნადავლით, რომელიც გაქონდათ თანხირის პორტით, რადგან ზუგდიდს ვერ გაივლიდნენ. მე კარგად ვიცოდი რომ ეს კანონიერი თბი არ იყო, ეს იყო სუფთა ყაჩაღობა, მარცვა და ზვიადისტებზე შურისძიება.

მე გადავწყვიტე არ მიმეღო მონაწილეობა ამ უაზრო სისხლისღვრაში და ოჯახით აფხაზეთად ერთად წავიდა სამხედრო გემით სანკ-პეტერბურგში. ჩემთან რომ მოდიოდნენ აფხაზები ტირიოდნენ, ეს რა დაგვემართაო. პეტერბურგში ყოფნისას მე კავშირი დავამყარე ყველა კომპეტენტურ პირებთან ჩვენი სათვისტომოდან, მათ შორის: ბადრი კაკაბაძესთან, კონსულ კუხალაიშვილთან, არესტო ბაგრატიონთან და სხვებთან. ჩემი სტუმრები იყვნენ აფხაზები, რომლებიც დიდ სინანულს გამოთქვამდნენ, ეს რა მოგვივიდა ძმებო. მე დავდიოდი სმოლენში, ტავრიის სასახლეში დღის-ღამის შეტანაში, სადაც 12 ბოძი იდგა, რომლებზეც კეილა საბჭოთა რესპუბლიკების დროშები. მხოლოდ ერთი ბოძი იდგა თავისუფლად. ერთხელ ვიხუმრე კომპეტენტურ პირებთან, ეს თვისუფალი ბოძი ქვ დამპირებულ-მეთქი, მინდა ავაფრთხილო ქართული ნაციონალური დროშა-მეთქი. ამის მერე თითქმის ერთი წელი დავდიოდი, ენახულობდი ჩემს ბოძს. რომ მივიდოდი რუსები იტყვიდნენ ხოლმე: „აი, საქართველოს წარმომადგენელი მოვიდა“. ჩემი ოცნებაც ასრულდა. მართლაც ამ ბოძზე ჩამოვიდეს ჩვენი დროშა, რომლის მონაწილე მეც ვიყავი. სიტყვაც კი წარმოვთქვი: „მიხარია, რომ რუსეთის მიწაზე კვლავ ფრიალებს ქართული ეროვნული

დროშა“. ჩემთან მოვიდა ვლადიმერ ფილიპეს ძე შუმეიკო და მადლობის ნიშნად ხელი ჩამომართვა და ჩაილაპარაკა: „ნამდვილად სასამართლო აზრები მოგვაწოდეთ!“ მე პეტერბურგში ყოფნის დროს მისაუბრია ჩიკვილაძესთან, ზურაბ ჟვანიასთან, ვახტანგ გოგუაძესთან, გენადი ზიუგანოვთან, სელენიოვთან, სობაკთან, მატევიცკოსთან და ბევრ სხვებთან. მაწუხებდა აფხაზეთი საქითხი, ყველაზე მწვევე და ჯოჯოხეთური. ერთხელ ზურაბ ანბას მიწვევით ვესწვრებოდი მოსკოვში ქართულ-აფხაზურ შეხვედრას, სადაც გამომავალი სიტყვით. ბედნიერად ვგრძობოდი თავს, როცა ჩემსკენ ხელეგამოშვერილი წამოვიდნენ აფხაზი ქალები თინა ზუბაა, ეშბა, ანბა და სხვები და ამბობდნენ: „ვახაჩისანთ ყარა აგრუა“. საღამოს სახლში მიმიპატივეს, ჩემი გამოსვლით კმაყოფილი იყო ყველა ქართველიც, ვინც იქ ესწრებოდა. ბულატ ოუკუაჯა და გრიგორი გორანი მოვიდნენ, ხელი ჩამომართვეს, ტელეფონის ნომრები მომცეს და დახმარებას დაპირდნენ. მე არასოდეს არ ვიყავი ცალმხრივი, რომელიც მიუდებელია საქმისათვის. მე ხშირად დავდიოდი საქართველოს საელჩოში, მოსკოვში, იქაც ყველა თანამშრომელი მიცნობდა, რომ მივიდოდი, იტყვიდნენ, დიდი ქართველი პატრიოტი მოვიდაო. ხშირად ვხვდებოდი ვალერიან ადვაძეს, ოთარ ჩერქეზიას, რეზო გაბრიაძეს და სხვებს.

მახსოვს, ერთხელ შევიარე ჩვენს საელჩოში და ენახე ვლადარ შენგელია. ის კარგად მიცნობდა და მითხრა: გვანჯი ბატონო, თუ გცალიათ დარჩით ჩვენთან, დღეს ელვარდ შევარდნაძე ელცინს უნდა შეხვედესო. მეც დავთანხმდი და არ ვასულა დიდი ხანი, საელჩოში შემოვიდა ესკორტი და მანქანიდან გადმოვიდა შევარდნაძე. ჩემსკენ მოიხედა და მივხედი, რომ მიცნო, რადგან მე ყოფილვარ მასთან თბილისში ჩაის თაობაზე, სერგეი ბადაფშმა გამაგზავნა. ის იყო რომ დამინახა ჩემსკენ წამოვიდა, ჩამიხედა და ზურგზე ხელები მიბარა. შემდეგ ერთად გავეცი-იღეთ ვეიკა ელცინთან შესახვედრად. მას გაყვენ ე ადვაძე და სხვები. ჩვენ კი ველოდებოდით მათ დაბრუნებას რათა გაგვეყო შეხვედრის შედეგები. ამ პერიოდში ჩვენთან მოდიოდნენ სხვადასხვა არხის ეურნალისტები, გვეკითხებოდნენ ბევრ რაღაცეებზე. არ ვასულა დიდი დრო და დავინახე ქუჩის მეორე მხარეს რომ იდგნენ რამდენიმე ნაცნობი აფხაზები. მე ვინ არ მიცნობდა აფხაზეთში, გამიხარდა მათი ნახვა და მივედი მათთან. რომ მივესალმე, ერთ-ერთმა იხუმრა, გვანჯის ორი გული აქვს, ერთი აფხაზეთში და ერთი ქართულით. მეორემ დაამატა, რა საჭიროა ორი გული, ჰქონდეს ან ერთი ან მეორეო. ბევრი იხუმრეს, მერე იკითხეს: „რა გესაქმებათ ამ ბანდიტებთან“. მე ვუთხარი, ჩემთვის ვინდა აფხაზი იყოს ვინდა ქართველი,

ორივე მშობლიურია, ორივე მიყვარს-მეთქი. არ მოვლოდნენ ამისთანა პასუხს.

კიდევ გავიდა ცოტა ხანი და წამოვიდა აფხაზების კოლონა პლაკატებით, რომლებსაც ქვრა: „შეგარდნაძე და ბერია მკვლელები არიან! აფხაზეთი არ არის საქართველო!“ ასეთ რთულ სიტუაციაში გამოჩნდა შევარდნაძის კორტეჟი, რომ დინახეს დემოსტრანტები შეჩერდნენ, მაგრამ სხვა გზა არ ჰქონდათ და ისევ წამოვიდნენ. როცა მიუახლოვდნენ საელჩოს, პირველი მანქანა გაატარეს და მეორეს გარს შემოეხვედნენ. ამასობაში მანქანიდან შურდულივით გამოვარდა ელვარდ, შიგ ჩაუხტა აფხაზებს, ორს შემოხტა ხელები და ატყდა ერთი ამბავი – ბავშვები ტირიოდნენ, ქალები კიოდნენ, მამაკაცები ბლაოდნენ. ქალები უძინოდან ფეხებს ურტყამდნენ, აფურთხებდნენ, კიტელი და საროქა შემიახიეს, კალსტუკი უკან კიდა. ეს ყველაფერი წამოვიდა მოხდა. კიდევ კარგი რომ დღევამ დროულად ხელიდან გამოსტაცა შიშველი, სველი პრეზიდენტი და საელჩოსკენ წაიყვანეს. აფხაზებს ხმადაღდა მორთვი ძახილი, ზვიადი, ზვიადი... თავი თბილისში, რუსთაველზე მეტონა. ამის მერე მე, როინ მეტრეველმა და ელდარ შენგელიამ გავესაუბრეთ აფხაზებს. მე ცოტა აფხაზურად, ცოტა მეტრეველად, ცოტა რუსულად და ყველაზე აგრესიული ქალები დავყოლიე მასზე, რომ შევსულიყვიოთ საელჩოში და ნორმალურად გავსაუბრებოდი შევარდნაძეს. ის იყო თხუთმეტიოდე აფხაზი გაეყოლიე და შევედი საელჩოში, მაგრამ, ჩვენდა საუბედუროდ, რაციით გვაცნობეს, რომ ელვარდ შევარდნაძე გულის შეტევით ნაჩქაროდ წაიყვანეს აეროპორტში, თბილისში გასაფრენად. იმ დღეს ჩაიშალა საღამოს შეხვედრა ელცინთან.

მე შევეკითხე ელდარ შენგელიას: ბატონო ელდარ, ასეთი ინციდენტის მერე შეიძლება თუ არა რამე საუბარი იყოს შერიგებაზე მეთქი. მითხრა, რატომაც არა, ისტორიაში უფრო უარესიც მომხდარაო. დაე ასე იყოს მარა მე შეეჭვებო-მეთქი.

მე კი პეტერბურგში ყოფნისას ახალ წელს მილოცავდნენ სერგეი ბადაფში, გენადი გაგუელია და მამშვიდებდნენ, არ ინერვიულო, მალე ისევე აფხაზეთში იქნებიო. ძალიან გული დამწვედა, რომ სერგეი ბადაფში, ზურაბ ანბა და ბევრი საღად მოაზროვნე აფხაზები ნადრეველად წავიდნენ ამ ქვეყნიდან. როცა დეპუტატად ირჩევიდნენ ლორიკ მარშინიას მაშინ მე მისი ნდობით აღჭურვილი პირი ვიყავი. ადახაც კარგად ვიცნობ. მათს გარდა თითქმის ყველა აფხაზი დიდიერი მიცნობდა. ომის მერე დავმოხდი ერთმანეთს. ახალმა თაობამ არ იცის ჩემი ვინაობა და არც მე ვიცნობ მათ. სხვანაირად არ შეიძლება, შენ სადაც მიდიხარ, სადაც ცხოვრობ იქაური ქელი უნდა დაიხურო. მე უფრო მეტი კავშირი და ურთიერთობა მქონდა აფხაზებთან. ისინი

მავსებდნენ, პირველ მცემდნენ. ჩემი საქციელი არ მოსწონდათ ქართველებს, კერძოდ თამაზ ნადარეშილს, დიმა ჯიანს და სხვებს. მხოლოდ ჯემალ გამახარია იყო ჩემი კარგი გამგონე. მე დიდ პატივს ვცემდი მას. თამაზ ნადარეშილმა ბევრჯერ მისაყვედურა, რა გინდა იმ აფხაზებთან ტელევიზიით რომ გამოდიხარო, მალე ჩვენი ტელევიზია გვექნება და იქ ილაპარაკე რამდენიც გინდაო. სინოპში რომ დავდიოდი, ვამჩნევდი სულ ჩხუბობდნენ ერთმანეთთან ქართველი დეპუტატები. მე რომ დამინახავდნენ სხვანაირად მიყურებდნენ. მახსოვს ერთხელ ქართველების ყრილობაზე კვლასურში რომ ტარდებოდა, არ შემეშვას, მაგრამ ვიდაცის დახმარებით ძლივს შევაღწიე. სიტყვით რომ გამოვიდიოდი დიმა ჯიანთან მიკროფონი გამითიშა და დამიყვარა – არანაირი მშვიდობიანი მოლაპარაკება არ იქნება, აუცილებლად სისხლი უნდა დაიდლოსო. ჩემი ნათქვამით დაინტერესდნენ თბილისიდან ჩამოსული ყურნალისტები. მათ გარეთ გამოიყვანეს და ჩემთან აიღეს ინტერვიუ. მაგრამ ვინ იყო მაშინ საღი აზრის მომხმენი ან გამგონე. ყველას გვახსოვს ზვიადი კაბონენტი რომ არ შეუშვას, გააგადას, ხოლო შემდეგ მოკლეს. მაშინ ქვეყანას პატრონი არ მყავდა, მოღალატე შევარდნაძეს მხოლოდ სკამი აინტერესებდა. აფხაზეთში უაზროდ შეიყვანა უგალონიკები, მმარცველები. შევარდნაძე ამბობდა, სოხუმში თუ დაეცა პირველი მე ავალ სახრთივლაუო. დაეცა სოხუმში და თვითონ გამოიქცა და მის მაცნოდ სახრთივლაუ ავიდნენ ერის გირეში: ადამია, ალასანია, შარტავა და სხვა ვაქცაბები. შარტავას დედა ფეხია ჩემი სოფლქანი იყო, არის ჩემი მოგვარე. გული მტკივა, რომ ეიული უაზროდ შეეწირა შევარდნაძის მიღალატეობრივ საქციელს. ამ თაღლითმა, გაიძევერა თვითრამ მეღამ დაღუპა საქართველო. მან ყველაფერი იკადარა, მოედი თავისი სიცოცხლე ემსახურა კომპარტას და დღეს უსირცხვილოდ ამბობს კომუნისტები ფაშისტებზე უფრო საზიზღრები იყვენო. დავაიწყდა, რომ თვითონ იყო კომუნისტების ლიდერი, ტრიბუნაზე ავიდოდა 2-3 საათი ლაყლაყებდა, გვემბებს ფარატინა ქაღალდით ასრულებდა. ბრეჟნეფს უკნიდან უტერებოდა, რომ გასულიყო სტალინურ ორბიტაზე, რომ ყოფილიყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი, თუნდაც მცირე ხნით. მაგრამ რუსებმა რომ არ გაუშვას, მას დასჭირდა მხოლოდ 24 საათი შემობრუნებულიყო დასავლეთისკენ ასოთხმოცი გრადუსით და გამხდარიყო ცეცრუს აგენტი, დაეწარა საბჭოთა კავშირი. ქვეყნის დამღუპველი, 9 აპრილის ავტორი, ერის მიღალატე, სიკვდილამდე თავს კომფორტულად გრძობდა.

გვანჯი ღარასელია, ზუგდიდი, კოლხიდა

გამარჯობაო, ევროპელო!



გართობის მოყვარულმა თაღლითმა ორ ლატაკს ურჩია: **“აგერ, ფართე მდინარე გადაცურეთ. მეორე ნაპირზე უკვე მდიდრები იქნებით”**. ერთი გავიდა, მეორეს ეპუტორდა და დაუძახა, მომეხმარე, თორემ დავაჯიჯივებ. ნაპირზე გასულმა მიაძახა: წადი, შენი ლატაკი დედაცო.

ასოციაციების ხელშეკრულების აღსანიშნავ ზეიმზე უსუფაშვილმა ფრთოსანი მისაღმბა ააფრინა: გამარჯობათ, ევროპელებო! ადრე გულელები დაგვიხუტა – ნატოს გარეშე საქართველო გაქრებო. იმ ნატოში არ გვიშვებენ და ჩვენ კიდევ შიშით შევუკრებთ – ეს ყველაფერი კომორეკული, ამდენ ცოდვაწამიკიდებული ნატო არ დაიშალოს და უიმისოდ არ გაქრეთო. კიდევ კარგი, რომ ეს წინასწარხედვა უფრთობუმბულო ღლაპი გამოდგა, რომელსაც გაფრენა არ უჭირია. სამაგიეროდ, ახლა ევროპელობა გაგვხდომია თავში საცემად. სახეიმო შეკრების მონაწილე ვყალგაღმა გასულელებს კი მიუღოცვს ევროპელობა, მაგრამ სხვამ რა ქნას, ვინც უკვე წყალში შესული დასახრნობად ფართხალებს, ან გამოღმა დარჩენილმა ლატაკებმა?

გავეროპელობა მთლად იოლი საქმე ნუ გგონია, ჯერ იმ მდინარეში ფეხი რომ ჩაგაყოფინონ, ანტიდისკრიმინაციული კანონი უნდა მიიღო. ასეთი უცოდველი კრავის სახელით არის შენიღბული ეს დაყოვნებული მოქმედების სატანის ძღვენი. შიგ არ ჩაიხედოთ, თორემ პანდორის სკივრით აიჯაგრება ადამის მოღვმის წახებენა.

რაკილა მიღებული ანტიდისკრიმინაციული კანონით თავი აგხადეთ ამ პანდორას სკივრს, ახლა უკვე ერთსქესიანთა ქორწინება ემზადება ამოსაფრეხად. შემდეგ კი ინცენდი გაისწორებს ფრთებს, ეს უმაღლესი დონის გარყვნილებაა, რომელსაც საქონელი, მხეცი და ნადირი არ კადრულობს; სისხლის აღრევა – დედა, შვილი, მამა, და, პიანოშილი-მამიდაშვილ-დედაშვილები... მოკლედ, სათქმელადაც საშინლად შემაზრხენია.

ახლა ასე დაკნინებული შთამომავლობა, გაუკუღმართებული, მორალურად და ხეობრივად წაბლწული, გადაგვარებული-გადაჯიშებული, ყოველგვარი ადამიანური სიწმინდისაგან დაცლილი მხოლოდ ბაყაყებივით თუ იყვინებს. პანდორას სკივრი კი უკვე აქ არის და ქართულ ერს უფრო დიდი გამოცდა წინ უდგის. სქესობრივად გარყვნილ მანიაკებს, ერთსქესიანთა ბინძურ ურთიერთობას თუ დაცვა და განებივრება სჭირდება, რაც მომავალს აბრეშობს, ყოველგვარ სექსუალს და წმინდას თავისი ბილწი უსირცხვილობით სერის, მაშინ რადღაც გვინდა საზოგადოებრივი წესრიგი? განა ნორმალურმა ქვეყანამ შეიძლება დაუშვას მათი სახალხო პარპაში? ესაა დემოკრატია?

ვირის **“ტანკას”** რომ გაასწრებს, ქამრით დაბმული რატომ არ ხარო, შენი სიცოცხლის დაცვის საბაბით, პატრული ისეთ ჯარშია გიწერს, რომ დამშვიდების ფრთებგამომბული მიქელ-გაბრიელთან შეკვალასავით მიფარავტლები. წამალს რომ ვერ

ვიდულობ გაუსადლისი სიცოცხლის ფართხალის გასაგრძელებლად, შემოიღონ ჯარშია; წამლების არდალევა დევდით დაბმაზე ნაკლებად საშიშია სიცოცხლისათვის? ან ოპერაციას რომ ვერ იკეთებ გაჭირვების გამო, გამოგვიწერონ ჯარშია, ეს ხომ შენს ჯანმრთელობაზე ზრუნვა იქნება.

ახლა ჩინეთი წამოვიდა წინ, განვითარდა, გაძლიერდა და მოწინავეთა რიგებში მალე ევროპასაც გაასწროს იქნებ. პოდა, ევროპელობის პანდორას სკივრიდან სანამ ყველა საჩუქარი არ ამოფრენილა, იქნებ ჩინელობა გვეცადა. პარლამენტის თავმჯდომარე რომ შემოგვაძახებდა, გამარჯობათ ჩინელებო და ჩვენც ვყალგაღმა გასულად ჩავთვლით თავს. ამასობაში მარსზეც განჩნდება სიცოცხლე და ჩვენც **“გამარჯობა მარსელების”** ჩასაგალობლებლად წავივარჯიშებთ.

ევროპელობა ასე რომ მოგვწონს, რაღა ბოლოდან ვიწყებთ გავეროპელობას. ფაბრიკა და ქარხანა რომ არ დავიკოვოთ, ევროპაშიც ვერე არიან? თუქცა, ერთი სიკეთე მაინც აქვს, ქარხნების საყვირის ხმა არ აფხიზლებს გაუსადლისი ყოფის ტყვეობაში ჩათვლილ სიცოცხლეს. იქნებ ძილმა ინებოს უიმედობის ბრწყვალის დროებით დაბლაგდება. იმდენად მიმივა ცხრივების უკუღმართობა, რომ ძილს სიზმრებად ფეთქვას არ აცდის. ადამიანი ამქვეყნიურობასთან ჭიდილის მუღდაე უიმედობას სასოწარკვეთილის გაწურველობასთან მიჰყავს. ბრძოლა დღევანდელი დღის როგორღე გადაგორებასთან; ხვალისდღემდე ფიქრიც კი ჯოჯოხეთის შემზარავ მოღანდებად ქცეულა. სად წახვალ, რას შეაფარებ დარჩენილი სიცოცხლის უიმედობას, როცა ყველგან გაუსადლისი ამქვეყნიურობა ბორბავს? ახლა, ცივილიზაციის გაბრწყინების პირობებში თურმე უფრო პუშინური და სიკეთით სავსე გახდა კაცობრიობა. რა ექნათ? დავიჯვრეთ? ადამიანები ერთმანეთს ისევე მტრობენ, როგორც პირველყოფილი თემის დროს. ვინც ხალხის მხარდაჭერით პოსტზე შეჯდა, გაჭირვებულ თანამემამულეთა ცხრივების სიმძიმის შემსუბუქებაზე ზრუნვის ნაცვლად, საკუთარი ნატუსის მოსაპირკეთებლად იყენებს იმ ნდობას, რომელიც ხალხმა გამოუცხადა და შედეგად ეს ნდობა სიძულვილად უნდობლობად და დაცინვად უბრუნდება. რამდენიც არ უნდა მოიხევეჭონ, ამქვეყნიდან იმას წაიღებენ, რაც მიაქვს სიზმარს. აქ კი მხოლოდ მათი აუკარგის გახსენება რჩება, სადაც სატანის დავარდლის და უფლისმიერი სპეტაკი სულიერების განუწყვეტელი ჭიდილია, ბოროტება ებრძვის სიკეთეს, მხეცობა – ადამიანობას, სიძულვილი – სიყვარულს, მტრობა – მოყვრობას. ამ განცდამ ათქმევინა ბრძენ ქართველს: **“რაც მტრობას, დაუქცევია, სიყვარულს უშენებია”**.

ბედნიერია ხალხი, თუ მისმა შვილებმა სატანის სამსახურზე არ გადაცვალეს ზრუნვა ყოველივე ადამიანურისადმი. ქართველთა გასაჭირი კი შევარდნადით დამიწყო, ადამიანის ყველა მანკიერების გამოყენებით ქვეყნის დასაკნინებლად და ქართველი ერის ასაწიოკებლად უბედურების ჯარა რომ ატრიალა. ამ სოფლის დამაცვეარი გზის უშფოთველად წასვლა იმის პროცენტია, რომ ქართველთა შემწყვანებლობას სახვარი არა აქვს, რა უბედურებაც არ უნდა დაატეხონ თავს. მისი გამოზრდილი ნაციონალებით ისე მოწამლა ქვეყანა, რომ ქართველობა აშკარა გადაშენების, დაქცევა-დაქუცმაცების და მოსპობის წინაშე იდგა; ამ ჭირისაგან ქვეყანა დღესაც სრულად არ არის განკურნებული, ჯერ კიდევ საკმაოდ ენერგიულად აფრხვან ალორძინების პროცესს. წელ-მოწყვეტილ ნაციონალს ახლაც

უსხენებელივით დაუღია პირი ქართველი ერის დასაკენად, რომელსაც ასე თავაწყვეტილად იცავს ევროატლანტიკური დემოკრატიის ნიღაბფარები ნაკავი.

როცა აირევა ცხოვრება, იმრავლებს მუხილობა და კუჭის კარნახს აყოლილი მომხვეჭელობა დატბორავს ნორმალური არსებობის მდგომარეობას. მაშინ თვითონ ერის არსებობას შეეკმნება საფრთხე, როგორც დასუსტებულ სკაში მამალი ფუტკრების მომრავლება. თუ მუშა ფუტკრებს იმდენი ძალა და ერთობის უნარი შერჩათ, რომ ოჯახის გადარჩენისათვის იბრძოლონ, ფუტკრები ფუტკრებს სულ ერთიანად გამოყრიან სიდან, კვლავ გაამრავლებენ ოჯახს და ბარაკს. თუ არა და, მოკვდება სკა მათი გამომხვეჭელი მუქთამამელების-აგან. ამიტომაც ადამიანის ვენში, ჯიშში და ჯილაგში ასე ღრმად გაჩაჯდარი სიყვარული მშობელი ერისა, რამეთუ ამაზეა დამოკიდებული არსებობა ყოველივე სასიკეთოსი, რამაც იგი შობა და გაზარდა.

ავის და კარვის გამოთხავი რიგში ჩამდგარი მომავლია, რომელიც ისეთი მსაჯული იქნება, როგორი აღმზრდელის ჩვევებიც დატბორნება მის ტვინს. ამიტომაც საკუთარ უდიდეს სიფხიზღა, რათა დღევანდლობამ ისეთი კეთილშობილებით კვებოს მომავალი, ისე გააჯანსაღოს და აწროს, რომ მისი სიკეთის და სიყვარულის მიერ გასხივოსნებული ღალი ამქვეყნიურობა ვერ დაამახინჯოს და წუთისოფელი ჯოჯოხეთად უქციოს უკუღმართთა ტვინის ბოღვამ.

დიდი – პატარას, ძლიერი სუსტს რომ ჩაგრავს, ძარცვავს, იმორჩილებს და ბოლოს საბოძს, ადამიანს ცხოველობის ჩვევებიდან ისე ღრმად აქვს ძვალბობილში გაშჯღადი, რომ ვერავთარი ცივილიზაციის ვაქცინა ვერ კურნავს, პირიქით, რაც უფრო ვითარდება, მით იხვეწება და თანამედროვეობის შესაბამისად იცვლის კანს, შინაარსით კი იგივე მტაცებელი რჩება. ასე ცივილიზებულიად თურმე ჩვენც ამერიკელთა სტრატეგიული პარტნიორები ვართ და უპატრონობით დაბნეული დეკლარაციით მივდევთ ამერიკა-ნატოს ფორანს, რომელთა ნაკვალევზე გზინავს გაპუტული ლიბია, ბორბავს სისხლმუქში ვართა, ავღანეთი, სირია და ახლა მათ მიერ აწეული უკრაინა.

რა გინდა შვილოსა, ვის კუბოში წვები, მგლისა და კრავის სტრატეგიული პარტნიორობა ვინა ხანა?! რაც მაგ მეგობრების დღეღუჭზე როცა ცხვარ-ძროხა გაგიმრავლდა, ფაბრიკა-ქარხნები თუ ოჯახში შვილები და ბარაქა? იმის უნარი მაინც დაიტოვეთ, რომ გასწავლო, რანი ვიყავით და ახლა რანი ვართ. იმპერია იყო და რუსეთი გენაგრადა – რა დააშვა უფასო მკურნალობამ, უფასო სწავლამ, უფასოდ ბინების მიღებამ? ეს ყველაფერი იმ **“პირს იმპერიას”** რომ გადააბარე, შენთვის რა დაიტოვე? წერილმან ქარხნებზე რომ არ შეეჩერდეთ, გვექონდა ელ-მაგლამშენებელი, ჩარხმშენებელი, ავტომობილმშენებელი, მტრ-ალურგიული, საავიაციო, ქიმიური, სასოფლო-სამეურნეო მანქანათა, რადიოს და ტელევიზორის ქარხნები, საკუთარი სახვავო ფლოტი, რა იქნა? იმპერიამ წაიღო? ან, თუ გაისხენებ, შენმა ევროპელმა მეგობრებმა რომელიმე ჩვენსაკეთი ევროპელობა შეეროლის მტრ-ალურგიული ან ელმაგლამშენებელი ქარხანა აუშენა – აა, შვილო, იცხობოვო და სიკეთეში მოიხმარე? გასავეროპელებლად ისეთ პირობებს გვიყენებენ, თუ გადავირთო, გავეფრთხებით და ქვეყანაც უქართველად გავეროპელებდებო.

არსებობისთვის ბრძოლა გრძელდება და ძლიერიც სუსტს თანამედროვე მეთოდებით უსწორდება. ზოგჯერ ქვეყანას ისეთი დაავადება უჩნდება, რომ საუკუნის, ან რამდენიმე ათეული წლით უკან გადაისვრის და შემდეგ მატარებელს ჩამორჩენილი მგზა-

ვრევით მიჩანალებს დიდი ხნის წინ გავლილი, უკვე კეალ-ბარდით დაფარული გზით.

ასეთ დღეშია პატარა, მაგრამ შემოქმედებითი ენერგიით მძლავრი ქართველი ერი, მამალი ფუტკრებით რომ მოუმრავლდნენ უცხოეთის მიერ ზომბირებულ, სიკეთის ნატუსის მოპირკეთების უძღები შვილები და ქვეყნის დაკნინება-დაშლის უფსკრულსაკენ მიაქანებენ, მაგრამ თვითგადარჩენის ენერგია რომ არ დაშრეტა, ნაციონალთა პარპაშის დაფრთხებით დამტკიცა. ეს უბედურება ისეა ჩაბღუჭებული ტეპასავით ქვეყნის ორგანიზმზე, რომ ერთი დარტყმით მოცილება შეუძლებელი შეიქმნა, იმ პირობებში, როდესაც მათი უცხოელი მფარველები ცრუ დემოკრატიულობის პოზიციებიდან ასე ენერგიულად უდრენენ ქვეყნის გამოჯანმრთელებისათვის მებრძოლთ. ეშტონი, ფულე, ორბანი, ვოლსკი, ბილდტი, დიტროვი და მისაგალი მათი მსგავსნი ვერ გრძობენ, რომ დემოკრატიულობის სავარძელი ხალხის მძარცველი, ნეოფაშისტური ბანდისამი მხარდაჭერით კოროზმის, მიკერძობის და კოოფციის სუნით აუმყარდლებათ. ახლა უფრო ნათლად გამოჩნდა, რომ ჩვენს ევროატლანტიკურ პარტონებს ქვეყნის მძარცველებად მართალი, ეროვნული, პრინციპული, დემოკრატიული დამცველი ხელისუფლება კი არა, კლავია, გამათხორცებელი, კულტიცინა არსებანი სჭირდებათ, რომელთაც ქვეყნის დაკნინება, დაქუცმაცება, გაყიდვა და ამოგდება ხელეწიფებთ.

თურმე ნაციონალების დამსახურების გავეროპელებს დასჯის მცდელობა ჩვენს ევროპელებს საეჭვოს გახდის. ასე თავხედურად პატარა ბავშვსაც კი არ ემუქრებიან საჩუქრის არმიტემით, თანაც თუ ის შეპირება პანდორას სკივრის ფრინველს ჰგავს.

ქართული გენის სიამაყით ავივლება იყო ირაკლი ღარიბაშვილის მტკიცე პასუხი ნაციონალთა გულშემატკივარ უცხოელებმა კვლავ გამოიხსიოკეს ადრე გამოყენებული ბრალდება დინების საწინააღმდეგოდ მოცურონის შესახებ. ქვეყანას უფსკრულისკენ ექანებდნენ მათი რჩეული ნაციონალები, ახლა ამ სახიფათო დინებიდან გამოყვანა, მათი გაგებთი შედეგებია? ამ დინების საწინააღმდეგოდ ცურვაა სწორედ, რაც მხოლოდ სამშობლოსათვის თავდადებულ მაშლიშვილებს შეუძლებია.

ახლა დასავლეთელი ბრძენკაცები გვარიებენ, ადრე რაც მოხდა, თავი დაანებეთ და წინ იეურეთო. ამან მაუდის გამოიდევლი გამახსენა, მკიდველს რომ უქცდა, კარგი და საუკეთესოაო. დახეული, გაცვეთილი და ძველიაო, შევღავა მიდევლი. შენც სადაც ახალი და სუფთაა იქ უყურეთო, ურჩია გამოიდევლი. ისეთი უღელმთვრელივით ვართ, რომ ამგვარი რჩეული კვლავ შევასადონ უამრავი ცოდვით, დალატით და ბოროტებით დასვრდილი ნაციონალური ჭირი? ჯერ კოპპიტაციით შეანჩქეს მის ხმალი ახალი ხელისუფლების მართლმსაჯულებას და დამნაშავე ნაციონალების ბრალდებები, ზედაპირზე რომ აწვივა, სათანადოდ ვერ გაუთლიათ.

ახლა კვლავ შვილის ცალ კარში მოთამაშე სასამართლოს ხომ ვერსაგზით ვერ მოარგვს მეორე კარი. იმათაც სამართლის სუსხიანი განაჩენი დამისი საქვეწმოდ აღიარებულ ნაციონალ ცოდვით დასვრდილ დამნაშავეთათვის ტუჭისგან გასარეცხ აბანოდ აქციონ. მედროვე მოსამართლე რაშიდ აბდულ რახმანმაც ამერიკელთა საამებლად სადამ პუხეინს ჩამოხრწოდა მიუსაჯა. 8 წლის შემდეგ კი იხეიმა სიმართლემ და რახმანი ურაველმა პატრონებმა ჩამოხრწვეს. რამდენ ასეთ აბდულ რახმანს ჰკიდია ნაციონალთა შეკვეთით გამოტანილი ცოდვა. ძალიანაც

ნუ ექნებათ ხის ხმლის იმედი. სააკაშვილის პასუხისგებაში მიცემით ქართულმა მართლმსაჯულებამ, გონია, თემიდან ბას-ნუ მასხვილი აიღო ხელში და უცხოელთა ვერავითარი მუქარა ვეღარ იხსნით მკაცრი განაჩენისაგან.

ამიტომაც, რომ სააკაშვილი სახელიდან გაგდებული წუნკალი ძალივით კულამოძუებული გაბოროტებით წაკაწკავენს. კარგად იცის, რომ ყველა ყოფილი ამერიკელთა ძალისშეილის ბედი არ ასცდება, ერთ მშვენიერ დღეს სტაცებენ ხელს და ჩადენილ ბოროტებას ამოაბაღლამებენ.

რაც შეეხება ბიძინა ივანიშვილს, მან დიდი ნდობა ქვეყნის და ერის საკეთილდღეოდ გაწეული საქმიანობით მოიპოვა. მან შესთავაზა ამომრჩეველებს პრეზიდენტობის კანდიდატად მარგველაშვილი, რომელსაც ბიძინას ფრთების გარეშე აფრენა არ ეჭრა. ისიც კარგად იცოდა, რომ საძულველი პრეზიდენტის რეზიდენციის შენობა უნდა გაუქმებულიყო და სხვა ფუნქცია დაკისრებოდა. ბიძინას გვერდით დგომა კი გამარჯვების ტოლფასი იყო. ამიტომ მოგვევლინა პლასტელინის კაცად. აირჩიეს პრეზიდენტად, გადაბარდა ამ საძულველ შენობაში და ახლა იქცა ქვის ნატეხად? ეს კი ნუ დაავიწყდება, რომ ხალხის არაფრად ჩაგდებას მისი ნდობის დაკარგვა ახლავს.

არასაკლებ გაოგნებას იწვევს პარლამენტის შენობად წოდებულ, დაუმთავრებელ-დაუგეგმავ, ცოდვით დასვრდილ უბედურებაში პარლამენტარების დღემდე ფუსფუსი ნაციონალების მიერ ქვეყნის დაქცევა-დაქუცმაცების მიზნით კონსტიტუციაში შეტანილი მუხლის გაბო.

ალექსანდრე მაკდონელს გორდიას კვანძი მახვილით რომ არ გადაეჭრა, ალბათ დღემდე ვერ გამოხსნიდა. ქართული ნაქაქია: თუ გული გულობს, ჯადა ორი ხელით იჭმევით. შეეშვით მაგ კანონით ჟონგლირობას და ქართველი ხალხის მოთმინებას გამოცდას ნუ უტარებთ. არ დაივიწყეთ, რომ დაუნდობელი დრო მუდმივად არავის ანებებებს და პირველ რიგში მედროვეთა კვალს შლის, რა სიმაღლის ქანდარაზეც ნაჯდომიც არ იყვენენ. დრო მედროვეთა რისხვას! მაგრამ უბედურია ჭეშმარიტი მამულიშვილის, სამშობლოს და ერისათვის თავდადებულის მიმართ, რომელთა სახელს საუკუნეთა სიმრავლე მხოლოდ სხივსა და დიდების შარავანდელს მატებს.

დღეს თუ ვინმეს ბოროტების და მუხთლობის მარდვის ბორბავა არ ახვენებს, ირაკლი ღარიბაშვილს უდრენს, რამეთუ კარგად იცინა, რომ იგი საქართველოს დამაქვევართათვის ავი მუსაფია. ამიტომაც, ხალხის უსახვრო ნდობით და სიყვარულით შეკობილმა, სპეტაკი ეროვნულობის და სულიერების დაცვის ურყევმა საჭეურობებმა, უწმინდესმა და უნეტარესმა კათოლიკოს-პატრიარქმა ირაკლი ღარიბაშვილს თუთირი ცხენი ანუქა, რაც დიდი და უპრეცედენტო ნდობაა ქვეყნისა და ერის საკეთილდღეოდ თავდადებულად საბრძოლველად, დემორტმა ქნას, რომ ამ ნდობის გამოტეხებით ქართველი ერისადმი თავდადება მტკიცე ქიხიყლად შეატოვოს მისი სახელი საქართველოს ისტორიას. წინ კი დიდი განსაცდელის დღეებია გასავლელი.

გვიტევს სიმუხთლე, სიბილწე, გვიცავს სიწმინდე ერისა; მუშტად შევიკრათ, ქართველნი, არ ვათვლინით ჩვენი სხვას!

ბიძი სომხიშვილი, მწერალი, დავით აღმაშენებლის სახელობის პრემიის ლაურეატი, აკადემის “ანა”-ს ნამდვილი წევრი

სპორტული კუთხე მიჰყავს შურნალის ბიორბი ჯალალანიას

“კარგ ნაკრებს კარგი ჩემპიონატი სჭირდება”



ნახევარი ვნახეთ საქართველოს ნაკრების შესრულებით. ძალიან დრამატული გამარჯვება იყო... რაც შეეხება ჩეხეთთან მატჩს, შეიძლება თამამად ითქვას, რომ მთელი მატჩის განმავლობაში გამარჯვების შანსი ერთხელაც არ გვექონია!

– თუმცა, ამ ყველაფრის მიუხედავად, მაინც პირველ ადგილზე გავვდით...

– მოვლენები ისე ვითარდებოდა, თითქოს აღარც გვექონდა პირველზე გასვლის შანსი, მაგრამ სპორტი იმით მაცნობს არის საინტერესო, რომ მოულოდნელობებით არის აღსავსე და ნებისმიერს შეუძლია ფაქტობრივად მინერული მეტოქის დამარცხება. ვერ ვიტყვი, პირველი ადგილი დაუშინახურებლად დავიკავეთ-მეთქი, მაგრამ იმასაც ვაცნობიერებ, რომ ისეთივე თამაში ვერ ვაჩვენეთ, როგორც, მაგალითად, წინა შესარჩევი ეტაპისას. ეს იმის ბრალიც არის, რომ სამი წამყვანი კალათბურთელი გვაკლდა, მართალია, მათი შემცვლელებიც ძალიან დავგეხმარნენ, მაგრამ გამოცდილება მისი მინც სხვა ფასი აქვს... კარგია, რომ ახალგაზრდა მოთამაშეებს მიეცათ თავის გამოჩენის, გამოცდილების დაგროვების შანსი და ეს შესაძლებლობა გამოიყენეს კიდევ და დრო თითქმის ყველა მატჩში ეძლეოდათ – ზოგჯერ ბევრი, ზოგჯერ – ნაკლები...

– შეიძლება ითქვას, რომ იგორ კოლოშევი ახალგაზრდებს ბოლო მატჩებში უფრო ენდო, თორემ გასვლით შეხვედრებში ძირითადი სუთეულის წევრებს ლამის შეუცვლელად უწევდათ თამაში...

– გეთანხმებით, თუმცა, მწვრთნელმა ასე ჩათვალა საჭიროდ და ბედნიერი ვარ, რომ ყველაფერი კარგად დასრულდა. არადა, სტუმრად ჩატარებული მატჩების შემდეგ, ბევრს ისიც კი არ ეგონა, საერთოდ ჯგუფიდან თუ გავიდოდით... თუმცა, არათუ გავვდით, პირველი ადგილიც დავიკავეთ და ევრობასკეტის ფინალური ეტაპის წლისეხვისას ეს გარკვეულ უპირატესობასაც მოგვცემს... ქომაგს ვეთანხმები – არ იყო ლამაზი გასვლა, მაგრამ რაც მოთავარია, შედეგი ვაჩვენეთ! მით უმეტეს, მარკოიშვილის, შერმადინისა და პიკმანის სახით გვაკლდნენ კალათბურთელები, რომელთაც ევრობასკეტზე თამაშის ყველაზე მეტი გამოცდილება აქვთ ჩვენს გუნდში... თუმცა, ვიმეორებ, რომ არა ახალგაზრდა მოთამაშეების დახმარება, ჯგუფიდან მართლაც ვერ გავიდოდით!

– საკუთარ მოედანზე აძვირადაც ყველა მატჩი მოვიგეთ, სტუმრად კი ისევ გვეჭირს... ეს რის მაჩვენებელია?

– ევროპაში გასვლითი მატჩების გამართ-

ვა ყოველთვის რთულია – იმ განწყობით უნდა ჩახვიდე, რომ მასპინძელ გუნდს მსაჯებიანად აჯობო! გარდა ამისა, გეოგრაფიული ფაქტორიც გასათვალისწინებელია – ამ შესარჩევი ეტაპზე, სადაც ვიყავით, პირდაპირი რეისი არც ერთ ქვეყანაში არ გვექონია: ორი თვითმფრინავის გამოცვლა და დამატებით ავტობუსით მგზავრობა გვიწევდა და რაც უნდა იყოს, ეს მაინც აისახება თამაშზე... თუმცა, ამის გამო საყვედური ნაკრების არც ერთ წევრს არ დასცდენია – უცხოეთში კი ვთამაშობთ, მაგრამ ქართველები ვართ და კარგად ვიცით, ქა მდგომარეობაშიც არის ჩვენი ქვეყანა...

– არადა, უნგრეთში რომ მოგვეგო, ამდენი სანერვიულო აღარ გვექნებოდა...

– შეცდომების მიუხედავად, ვიყავით კიდევ მოგებასთან ძალიან ახლოს, მაგრამ უნგრელებს, ფაქტობრივად, მოგებელი მატჩი ვაჩუქეთ. 10 ქულით რომ ავებ, ისე არ განიცდი, როგორც მინიმალური სხვაობით დამარცხებისას... აი, პორტუგალია კი ნამდვილად არ არის იმ დონის გუნდი, ასეთი წინააღმდეგობა რომ გაეწია ჩვენთვის. საქმე ასეთ დრამატულ დასასრულამდე არც უნდა მიხულიყო, პირველ ნახევარში ძალიან სუსტად რომ არ გვეთამაშა... მეტოქის შეუფასებლობა? შესაძლოა, ესეც იყო მიზეზი, მაგრამ მე ჩვენი ფსიქოლოგიური მდგომარეობის ბრალი უფრო მგონია – პორტუგალიაში ჩასვლამდე უნგრეთში ისეთი დასანანი მარცხი ვიწვინეთ, გუნდმა ვერ მოასწრო მისი დავიწყება და მომავალ მატჩზე გადაირობა. პირადად მე ნერვიულობისგან ორი ღამე არ მიმიძინა...

– თუმცა, პირველებთან მატჩს დადებითი მხარეც ჰქონდა – 23-ქულიანი ჩამორჩენა გააბათილეთ...

– მეორე ნახევარში ისეთი თამაში ვაჩვენეთ, საქართველოს ნაკრებს რომ სჩვევია. რა დონის მეტოქესაც უნდა ეთამაშებოდა, 23 ქულიც “ამოქანჯა” ძალიან რთულია. ამიტომაც ვთქვი, არეული მატჩები იყო-მეთქი...

– და გასვლით მატჩებში უჩვეულოდ ბევრი შეცდომაც დაუშვეთ – ეს საჯარო ტყორცნებსაც ეხება, სამქულიანებსაც, დაკარგულ ბურთებსაც და ა.შ.

– შეცდომებს ყველა გუნდი უშვებს და ამაში გასაკვირი არაფერია. რაც შეეხება საჯარო მთავრობას, საქართველოს ნაკრებში გაგიჭირდებოდათ მოთამაშის პოვნა, ამ კომპონენტში პრობლემები რომ ჰქონდეს, თუმცა, ესეც ინდივიდუალურია – ხან “ვაგია” ტყორცნა, ხან – არა... ისე, სწორედ საჯარ-

რიმების ზუსტად ტყორცნამ მოგვაგებინა უნგრელებთან...

– სხვათა შორის, პორტუგალიელებისთვის არც თბილისურ მატჩში მოგვიგია იოლად...

– ასეთი ხასიათი აქვთ – იგებენ თუ აგებენ, ერთნაირად თამაშობენ, ბოლომდე იბრძვიან... იოლად არც სხვა მატჩებში მოგვიგია, მაგრამ ვამაყობ, რომ რაც ნაკრებში ვარ, თბილისში ორად ორი მატჩი გვაქვს წაგებული – ბელგიასა და ბოსნიასთან... ასეთი სტაბილურობით ბევრი ვერ დაიკვირებს... ქართველი გულშემოტყვიარი ყოველთვის იყო ჩვენი ერთ-ერთი უმთავრესი კოხირი, ამ შესარჩევი კი სულაც საუკეთესოები იყვნენ – FIBA-ს ვებგვერდზე გამოქვეყნდა ინფორმაცია, რომ სწორედ საქართველოს ნაკრებს ჰყავდა ყველაზე მრავალრიცხოვანი და ხმაურიანი ქომაგი!

– გამარჯვებულს არ ასამართლებენ, მაგრამ... როგორ ფიქრობ, შესარჩევი მატჩების ნატურალიზებული მოთამაშის გარეშე ჩატარება სწორი გადაწყვეტილება იყო?

– ბოლო წუთამდე გვექონდა იმედი, რომ რიკი პიკმანი საქართველოს ნაკრებს შემოუერთდებოდა... მისი არყოფნის ზუსტი მიზეზი ჩემთვის უცნობია, მაგრამ ფაქტია, რომ პიკმანი ვერ ან არ ჩამოვიდა და უმისოდ მოგვიხდა თამაში... იმედია, გაისად პრობლემა საქართველოს ნაკრების არც ერთ მოთამაშეს არ შეექმნება და პიკმანიც, მარკოიშვილიც და შერმადინიც ჩვენთან ერთად იქნებიან.

– ნაკრების წარმატების პარალელურად, საგალო მდგომარეობაა ეროვნულ საკალათბურთო ჩემპიონატში... ნაკრების წევრებმა თხოვნითაც მიმართეთ ქვეყნის მთავრობას – კალათბურთის მეტი ყურადღება მიაქციონ...

– სასიამოვნოა, რომ მთავრობის წევრები, მათ შორის – პრემიერ-მინისტრი ჩვენს თხოვნას მაშინვე გამოეხმაურნენ. ნაკრების გამოსვლას აქამდეც ადევნებდნენ თვალს და იმედია, კალათბურთის შედეგულყოფისთვის შესაძლებლობის მაქსიმუმს გააკეთებენ. გააკეთებენ იმას, რასაც ეს ნაკრები, რასაც ქართული კალათბურთი იმსახურებს. ყველა იცის, რომ კარგ ნაკრებს კარგი ჩემპიონატი სჭირდება! კალათბურთი გუნდური თამაშია და აუცილებელია, მოთამაშეებს, მწვრთნელებს, მსაჯებს სათანადო პირობები ჰქონდეთ. მთავარია, რომ უკვე ყველა იცის პრობლემის შესახებ, დანარჩენს კი დრო გვიჩვენებს...

რათი შედეგია

გამოვიდა კრემლიოვის წიგნი “ლაკრენტი ბერიას” თარგმანის მესამე ტომი



გამოვიდა I, II და III ტომები სერგეი კრემლიოვის წიგნისა “ბერია – XXI საუკუნის საუკეთესო მენეჯერი” (რედაქტორი ალექსანდრე შინბელია). გამოცემა განხორციელდა სახალხო მოძრაობა “სამეგრელოს” მხარდაჭერით. წიგნის შექმნა შეიძლება ზუგდიდში, რუსთაველის ქ. №68-ში, სახალხო მოძრაობა “სამეგრელოს” ოფისში. ტელ. 599.209.624

თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველ ოთხშაბათ დღეს, დიდის 9 საათზე ბაქრაძის ქ. №6-ში (დიდუბე), ან, ყოველდღე მეტრო “მარჯანიშვილის” ამოსასვლელში, გაზეთების გამყიდველ პაატასთან. ცნობისათვის დარეკეთ – 599.573.322

სახალხო მოძრაობა “სამეგრელო” და ბაზეთი “ილორი” თანაბრძობას უცხადებენ

ბატონ მამანტი აბაშიას დის

მარგო ქაქაია – ზარანდიას

ბარდაცვალების ბამო

სახალხო მოძრაობა “სამეგრელო” უზღვიდის ორბანიზაცია

თანაბრძობას უცხადებს

ბატონ ემზარ ზეშის შვილის

ონისა ჭეჭიას

ბარდაცვალების ბამო

სახალხო მკურნალთა მოუზონი ჯარ კილავი მკურნალთა ნაციონალური ფარმაცეუტიკის, როგორც მის დაქირავანს მდილოზა და კვლავ ჩაღბა

სალხის ჯანმრთელობის სასახეარში

ლომინტი ბაზნიძის მიერ შექმნილი პრეპარატი არჩენს ავთვისებიან სიმსივნურ დაავადებებს, კუჭ-ნაწლავის გაუფარლობას, კოლიტს, ფისტულას, პროსტატიტს, ბუასილს, ნერვის ანთებს, ნევროზს, ფსიქიკურად დაავადებულებს, პეპტრანეს გაფანტული სკლეროზს და შიდსს, შეგლის ცერებრალურ დამბლას, ყურებიდან ჩირქენას, ბოტულიზმს, ტუბერკულოზს, ცეროზს I და II სტადიებში, C-ჰეპატიტს, ნაღლის ბუშტის დაავადებებს, ანთებით პროცესებს, სახსრების დაავადებებს, ამყარებს იმუნიტეტს, და სხვა მრავალ დაავადებას.

მკურნალის კოორდინატები: თბილისი, სოფელი შალაში, ბაზნიძე ბიჭიშვილი (ლომინტი). ტელ: 893-22-66-51

თბილისი, აჭყურის ქუჩა №70 (მეტრო “ისანთან”), ყოველდღე – შაბათ-კვირის გარდა, 10-დან 16 საათამდე.

მასთან სიცოცხლეზე ხელჩაქმულები მიღიან და ჯანმრთელები ბრუნდებიან